ცნობის ფურცელი

№ 2361 სამშაბათი, 23 დეკემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2361

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе"**. ტელეფონი № 372.

დარია დიმიტრის ასული მუსხელოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავის ძვირფასის ძალუას

ელისაბედ ივანეს ასულის კალოუბანსკისას.

გამოსვენება დანიშნულია სადგომიდან, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 19, კალოუბნის წმ. ღვთის-მშობლის ეკლესიაში სამშაბათს, 23 დეკემბერს, დილის 11 საათზე.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სადღესასწაულო რეპერტუარი:

26 დეკ. დილით „დუბროვსკი", საღ. „ჰუგენოტი"
27 დეკ. " „ევგენი ონეგინ", " „ტანგეიზერი"
28 დეკ. " „სნეგუროჩკა", " „ფრა-დიავოლო"
29 დეკ. " „კარმენ" 30 დეკ. „ციგანსკი ბარონ"

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

31 დეკ. „კამორრა". 1 იანვარს: დილით „რუსლან და ლიუდმილა", საღ. „პიკოვაია დამა". დილის წარმოდგენა დაიწყება $12\frac{1}{2}$ საათ. საღამოს—8 საათზე. ბილეთები დილის წარმ. იყიდება საერთო კასაში, საღამოსი—„location".

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო.

ანონსი: 27 დეკემბ. ბენეფისი დარსკისა—„ტანგეიზერი". (ნ.)

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა. რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ. ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა"** („Воскресеніе").

5 მანეთად ტფილისში და 7 მანეთად ტფილისს გარეშე დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში:—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „Иверія". (3—3)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევს 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებთა ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოით 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტაპარმაკლიძისა. (0—6.—29)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

კ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.
ლ. ივ. კამოევი.—საზარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.
ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.
ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
გრ. გ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათს 1—2 საათამდე.
ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

ინგლისური გაზ. „დეილი მეილ"-ი მაინც ირწმუნება, იაპონიამ ორის კვირის ვადა დაუნიშნა რუსეთს პასუხის მოსაცემადაო. ასე რომ რუსეთი 7—9 იანვარს (ახ. სტილით, ჩვენებურად 26—28 დეკემბერს) ჩააბარებს პასუხს და საქმეც მაშინ გადასწყდება საბოლოოდაო.

„სტანდარდ"-ს სწერენ ტოკიოდან: აქ მოელიან, რომ პეტერბურგის მთავრობა პასუხს იანვრის დამდეგს გამოჰგზავნის და იაპონიაც 15 იანვრამდე (ახალის სტილით, ჩვენებურად 2 იანვრამდე) საბოლოოდ გადასწყვეტს რასმესო. ან ომს დაიწყებს, ან რუსეთის პირობას დასთანხმდებაო.

იგივე გაზეთი იუწყება: იაპონიის საელჩომ ლონდონში ტოკიოდან ცნობა მიიღო, რუსეთმა იაპონიის მოთხოვნილება უარ-ჰყოო, მაგრამ იაპონიის ელჩმა ბარონ გაიაშმ უთხრა ჩვენს თანამშრომელს: მაგ ცნობის შესახებ ვერას გეტყვით, ვერც ჰოს, ვერც არას. შეიძლება ტოკიოდან მიღებული ცნობა მართალიც იყოსო. ამბობენ, ომის საქმე ამ ერთ კვირაში გადაწყდებაო.

დღესაც ბევრს აქვს იმედი, რომ შორეულ-აღმოსავლეთის საქმე უომრად, დიპლომატიურად გადაწყდება. „მორნინგ პოსტ"-ის ბერლინელ კორესპონდენტისათვის ერთ წარჩინებულს სახელმწიფო კაცს უთქვამს: დარწმუნებული ვარ, რუსეთ-იაპონიის დავა დიპლომატიურად გადაწყდებაო.

ინგლისი და იაპონია

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან: თუ ომი მოხდა და ჩინეთი იაპონიას მიემხრო, შეიძლება, საქმე ისე აირიოს, რომ ინგლისს უსათუოდ საქმეში გარევა დასჭირდეს. პეტერბურგსა და ბერლინში დარწმუნებულნი არიან, თუ ომი მოხდა, ინგლისი უსათუოდ გაერევა საქმეში და იაპონიას დახმარებას გაუწევს. თორემ თუ იაპონია დამარცხდა, ინგლისს მთელ აზიასა და ნამეტნავად ინდოეთში ძლიერ გაუტყდება სახელიო.

„დეილი ექსპრეს"-ი იუწყება: ამბობენ იქნება გერმანიამ განგებ დახმარება გაუწიოს რუსეთს იმ აზრით, რომ ინგლისიც საქმეში გაერიოს და იაპონიას დახმარება გაუწიოსო. მაგრამ სხვა გაზეთებს არა სჯერათ ეს ცნობა.

„მორნინგ პოსტ"-ის კორესპონდენტს უკითხავს იაპონიის ელჩისათვის ლონდონში, ინგლის-იაპონიის ხელ-შეკრულობაში კო-

ფელეტონი

სასკოლო საქმე თიანეთის მაზრაში

II

ერწო-თიანეთი და თუშეთ-კახეთი

წინა წერილებში*) შევეხეთ სწავლა-განათლების მდგომარეობას ფშავ-ხევსურეთში და მეტად უნუგეშო სურათს წავაწყდით: ფშავ-ხევსურეთში, სადაც 11 სამრევლოა და 17 ათასამდის სული მცხოვრები, მხოლოდ სამი სკოლა ყოფილა ორი—ხევსურეთში (ს.ს. ბარისახოსა და ახიელში) და ერთიც ფშავში (ს. მაღაროს-კარში)—ამ სამ სკოლიდანაც ერთი სკოლა (ახიელისა) თითქმის რიცხვში ჩასაგდები არც-კი ყოფილა სწავლების საქმის უხეიროდ წარმოების გამო.

ვნახოთ ახლა რა მდგომარეობაშია სკოლის საქმე სხვა მჭიდროდ დასახლებულ კუთხეებში თიანეთის მაზრისა—ერწო-თიანეთსა, თუშეთსა და კახეთის იმ ნაწილში, რომელიც თიანეთის მაზრაში შედის.

ერწო-თიანეთი ტფილისზე 60—70 ვერსის მანძილზეა დაშორებული და ადვილი მისადგომია საფოსტო გზის შემწეობით. გზა ერწო-თიანეთისკენ გლდანზე (ტფილისის მაზრისა) და ცხვარიჭამიაზე (დუშეთის მაზრისა) მიდის. საბადურის-აღმართამდის კარგი გზაა. საბუდარის მთიდან-კი ეს გზა 12 ვერსის მანძილზე ძლიერ ცუდია. მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, ადგილობრივი მკვიდრნი ამ გზის გაუმჯობესებას მაინც ვერ ეღირსნენ, რადგან ნიადაგი მეტად ფხვიერია და ნაშალი, ასე რომ დიდი წვიმების შემდეგ თითქმის მთელი გზა იშლება და მცხოვრებთ ახალი გზის გაკეთება უხდებათ. ახვალთ საბუდარის მთას (4,680 ფუტი სიმაღლე) და დაეშვებით თავქვეზე, რომელსაც გაჰყევხართ ერწოს მინდორზე. ეს მშვენიერი მინდორი, შეზღუდული გარშემო ტყიან კალთებით მთლად პურითაა დათესილი. შუა გულზე ჩრდილოეთით მიდის გზა-ტკეცილი თიანეთისკენ. ამ გზა-ტკეცილის პირას მთის კალთების ძირში ჩრდილოეთის და დასავლეთის მხრივ გაშენებულია 10 სოფელი-ამტნისხევის, ნაქალაქარის და საყდრიონის სოფლის საზოგადოებისა, 1,000 კომლ მცხოვრებით. სულ ქართველები არიან. ამ ერწოს მინდორზევე აპირებს გავლოს კახეთის მომავალი რკინის გზა, თუ თიანეთზე გადაყწდა. მინდორს იქით გზა მდ. იორის ხეობაზე მიდის, სოფ. საყარაულოზე, საიდანაც კვლავ გხვდებათ მშვენიერი ვაკე თიანეთისა. თიანეთის ვაკე წარმოადგენს ხელის გულსავით გაშლილ სწორე ადგილს, გარემოცულს წიფლის ტყიან სერებით. ამ ადგილთან თავს იყრის ყველა ხეობა მდინარე იორისა სხვა-და-სხვა გზით მომდინარე. საშუალო სიმაღლე ამ ადგილისა 3600 ფუტს უდრის. ერწო-თიანეთი მომხიბლველის მდებარეობით, ზომიერ და საღ ჰავით, ეჭვ გარეშეა, მშვენიერ სააგარაკო ადგილად გადაიქცევა რკინის გზის გაყვანის შემდეგ.

ერწო, თიანეთს 90,520 დესეტინა მიწა უჭირავს, შესდგება 8 საზოგადოებისა და 74 სოფლისაგან. ერწო-თიანეთში 2,469 კომლი ითვლება და 13,741 სული, ორისავე სქესისა, ასე რომ თითო ოთხკუთხ ვერსზე 15,8 სული მოდის. ყველა ესენი ხვნა-თესვას მისდევენ. ერწო-თიანეთში სამი სკოლა არსებობს: ამტნისხევსა, თიანეთსა და სვიმონიანთხევში.

ამტნისხევის სკოლა დაარსდა 1895 წელს. სკოლა მოთავსებულია საკუთარ გვარიან სადგომში, რომელიც ოთხის ოთახისაგან შესდგება. 1—საკლასო, 1—საპანსიონო და 2—სამასწავლებლო. ეს შენობა ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯით აშენდა. ადგილობრივ მცხოვრებთა, ე. ი. ერწოელთა უმრავლესი ნაწილი ხევსურეთიდან (სოფელ ლულიდან) არიან გადმოსახლებულნი. სკოლას ერწოელები თანაგრძნობით ეპყრობიან. მოწაფეთა რიცხვი გასულ სამოსწავლო წელს 29 (27 ვაჟი და 2 ქალი) იყო. ეს რიცხვი კი შედარებით წინა-წლებთან (წინა წლებში 14 მოწაფე ირიცხებოდა) სანუგეშოა. სწავლება ამ სკოლაში სწარმოებს ერთ-კლასიან სამრევლო სკოლის პროგრამაზე. მასწავლებლად ირიცხება პ. კოპლატაძე, ტფილისის სასულიერო სემინარიიდან, ხოლო სკოლის გამგედ—მღვდელი გ. ნახუცრიშვილი, სკოლის მზრუნველებად ადგილობრივი მცხოვრებნი: ი. ციკლაური, დ. კოციაშვილი და ბოიაშვილი. სკოლასთან არსებულ სამკითხველოში 60 წიგნი ძლივ მოიძებნება, ისიც სასულიერო შინაარსისა. სკოლასთან არსებულ თავშესაფარში 17-18—მოწაფე იყრის ხოლმე თავს. ყველა ესენი თავიანთ პურზე სცხოვრობენ თავშესაფარში. რადგან თავშესაფარი მოუწყობელი იყო, არა ჰქონდა არავითარი ავეჯი, ყოფილმა ინსპექტორმა—მამინაიშვილმა ამ ავეჯის (ლამპის, კიდობნის, სტოლის, ტახტების) შეძენა ადგილობრივ მცხოვრებთ დაავალა. იმათაც მართალია თანხმობა გამოუცხადეს, მაგრამ შეძენით დღესაც არა შეუძენიათ-რა.

თიანეთის სკოლა 1869 წლიდან არსებობს. 1900 წლამდის ერთკლასიან სამრევლო სკოლების ხარისხისა იყო, ორის განყოფილებით ვაჟებისთვის ცალკე და ქალებისთვის ცალკე. 1898 წელს საშინელმა ცეცხლმა იმსხვერპლა სკოლის შენობა, ასე რომ ახალ სკოლის შენობის აგება იყო საჭირო. კავკასიაში ქრ. აღ. საზოგადოების საბჭომ—დაადგინა გადაკეთება თიანეთის ერთკლასიან სკოლის ორ კლასიანად, ისე კი რომ უნდა დაეხურათ ქალების განყოფილება და იმის ხარჯით მეორე კლასი გაეხსნათ. მაგრამ რადგან ქალების უსწავლელად დატოვებაც ძნელი იყო, ქრ. აღ. საზ. საბჭომ წინადადება მისცა ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭოს, რომ საქალებო სკოლა დაეარსებინა თიანეთშივე თავის ხარჯით. სანამ პასუხს მიიღებდა, ქრ. აღ. საზოგ. საბჭომ განაჩენი შეადგენინა ზემო და ქვემო თიანელებს, რიცხვით 800 კომლს, იმის შესახებ, რომ მცხოვრებნი თანახმანი იყვნენ ჰქონოდათ საქალებო სკოლა, რისთვისაც შუა გულ ალაგას თიანეთში, უთმობდნენ ერთ ნაჭერ მიწას სკოლის ასაგებად და მასალად სოფლის სამმართველოს ძველ შენობის ნანგრევებს. აგრეთვე თანხმობას აცხადებდნენ სკოლისათვის შეშა მიეცათ და სკოლის დარაჯი ჰყოლოდათ თავიანთ ხარჯით. გარდა ამისა ამავე განაჩენით ორი-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." №№ 2327,2328

რეია და ჩინეთიც მოხსენებულნი არიან, თუ არა. იაპონიის ელჩს უპასუხნია: დიახ, მოხსენებულნი არიანო.

გერმანული გაზ. „ცაიტ“-ი (ვენაში გამოდის) შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე სწერს: „იაპონია მეტს ველარ მოითმენს. უსათუოდ ეხლავე ომი უნდა გამოაცხადოს, თუ არ უნდა, რომ რუსეთმა უფრო მეტი ჯარი და ფლოტი ჩაიყვანოს შორეულ-აღმოსავლეთში. მთელი განათლებული ქვეყნიერობა იაპონიის მხარესაა და ინგლისი ხომ დიდს დახმარებასაც გაუწევს.

რუსეთ-იაპონიის ბრძოლას ინგლისი გარედან ცქერას ვერ დაუწყებს, რადგან ყველას კარგად ესმის, რომ თუ იაპონია დამარცხდა, რუსეთი ჩინეთსაც დაიჭერს და იაპონიასაც.

რუსეთი და ამერიკა

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: „15 დეკემბერი. ამერიკულმა გაზ. „ნიუიორკ-სინ“-მა კიდევ ვრცელი წერილი უძღვნა შორეულ-აღმოსავლეთის საქმეს. წერილს სათაურად აწერია: „ჩვენს სავაჭრო ხელ-შეკრულობას ჩინეთთან განსაცდელი მოელის თუ არა?“ გაზეთი შორეულ-აღმოსავლეთის საქმეს არჩევს და ბოლოს ჰკითხულობს: თუ დამტკიცდა, რომ რუსეთი ჩვენის ხელ-შეკრულობის წინააღმდეგია, განა ამერიკამ ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას, თუ რუსეთსა და იაპონიას ომი მოუვათო. ამერიკა არას დროს ხელს არ აიღებს ჩინეთში მოპოებულ უფლებაზე და თუ რუსეთი ამას რიგზე შეისმენს, დარწმუნებული ვართ, ჩვენ წინააღმდეგობაზე სამუდამოდ ხელს აიღებს“.

სახელმწიფო კაცების აზრი რუსეთ-იაპონიის დავაზე

ერთს წარჩინებულს სახელმწიფო კაცს უთქვამს გერმანულ გაზ. „ნოე ვინერ ჟურნალ“-ის თანამშრომლისათვის: თუმცა სულაც არ მინდა, შორეულ აზიაში სისხლის ღვრა მოხდეს, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა, რომ იაპონია ეხლა გაცილებით ძლიერია რუსეთზე ზღვაშიაც და ხმელეთზედაც. ომი დიდს სარგებლობას მოიტანს: რუსეთის ბატონობას აღმოსავლეთ აზიაში დიდის ხნით, იქნება სამუდამოდაც, ბოლოს მოუღებს. რუსეთს მით უფრო გაუჭირდება, რომ იქნება ამერიკაც საქმეში გაერიოს. ყოველ შემთხვევაში, ჩემის აზრით, რუსეთი უფრო გაჭირვებულ ყოფაშია ჩავარდნილი, ვიდრე იაპონიაო“

ჩინეთში გერმანიის ელჩად ნამყოფი, იმპერატორ ვილჰელმის მრჩეველი დიპლომატი ბრანდტი სწერს „ნოიე ფრაიე პრესე“-ში: „ვინ იცის საქმე როგორ წავა, ძნელია კაცმა წინადვე გადაჭრით სთქვას რამე. ეს კი ცხადია, რომ იაპონიის ფლოტი რუსეთის ფლოტს (შორეულ-აღმოსავლეთში) არ დაუვარდება, ჯარი ხომ გაცილებით მეტი ჰყავს. ვიდრე რუსეთსა ჰყავს ჩაყვანილი შორეულ-აღმოსავლეთში. ამბობენ, იაპონიას ფული აკლიაო, მაგრამ განა რუსეთს კი აქვს? იაპონია საფინანსო კრიზისს უფრო ადვილად აიტანს, ვიდრე იმისი მოწინააღმდეგე, რადგან რუსეთში მთელი ათი წილიწადი გაბმული კრიზისია“.

დიპლომატი ბოლოს ამბობს, იქნება რუსეთმა და იაპონიამ მორიგებითაც გაათავონ საქმეო.

„ცის ქვეშეთის იმპერიაში“

ჩინეთშიაც ხალხი მეტად აღელვებულია თურმე. იქაური პარტიები იმ აზრისანი არიან, რომ ჩინეთმაც ხმა უნდა ამოიღოს და რუსეთს მანჯურიიდან ჯარის გაყვანა მოსთხოვოსო.

ჩინური გაზ. „ჩჟუნ-ვაი-ჟიბაო“ იუწყება: ერთმა წარჩინებულმა სახელმწიფო კაცმა ამას წინად მთავრობას მოხსენება წარუდგინა და ურჩია: ჯარი ყოველწამს მზად იყოლიეთ და თუ ომი მოხდა, მაშინვე იაპონელების საშველად გაჰგზავნეთო. ჩინელ ჯარის კაცებს იაპონური ფორმა ჩააცვით და უფროსებად იაპონელი ოფიცრები დაუყენეთო. ეს წინადადება ბევრ წარჩინებულ მოხელეს მოეწონა. სამხედრო მომზადების თაობაზე დედოფალი იუანშიკაის ეთათბირა.

იგივე ჩინური გაზეთი სწერს: კარგი იქნება, რომ ჩვენმა იმპერატორმა ეხლა მთელი ჩინეთი მოიაროს. ეს მოგზაურობა მეტად დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქვეყანას: ხალხს გაალვიძებს და იმპერატორსაც დააფიქრებს და გააგებინებს, რომ ევროპისა და ამერიკის წესები სჯობია ჩვენებურ წესებსაო.

„დეილი მეილ“-ის შანჰაელი კორესპონდენტი იუწყება: პრინცი ჩინგი რუსეთის ელჩს ბ-ნ ლესარს მანჯურიის საქმეზე ელაპარაკა. ლესარმა გამოუცხადა, მანჯურიიდან ჯარის გაყვანაზე ვერას გეტყვით, ვიდრე მთავარ-მართებელი ადმირალი ალექსეევი პეტერბურგს არ წავა და ამ საქმეზე უმაღლეს მთავრობას არ მოელაპარაკებაო.

„სტანდარტ“-ს სწერენ ტიანძინიდან: მანჯურიის საქმემ ისე შეაშინა ჩინეთის მთავრობა, რომ ეხლა ინგლის-გერმანიის ამხანაგობასაც აღარ აძლევს რკინის გზის გაყვანის ნებას. ჩინელი წარჩინებული მოხელეები ამბობენ: ეგ რკინის გზაც მანჯურიის გზასავით ხათაბალად გაგვიხდებაო.

ჩემბერლენის აგიტაცია

ამას წინად ჩემბერლენმა სატამოჟნო საქმეზე სიტყვა წარმოსთქვა. ორატორმა გამოაცხადა: „ჩვენ საგანგებო კომისიის დანიშვნას ვაპირებთ. ამ კომისიაში სულ მცოდნე კაცებს მოვიწვევთ: მრეწველთა წარმომადგენლებს და კოლონიების დელეგატებს. კომისია ყველა საჭირო ცნობას შეჰკრებს და მრეწველობის გასაძლიერებლად რეფორმის პროგრამას შეადგენს. კომისია მცოდნე კაცებს ელაპარაკებს, ყველაფერს გამოიძიებს და გადასწყვეტს, რანაირი ბაჟები უნდა დაწესდეს ჩვენში... ასე რომ, როცა ამომრჩევლები მიგვიწვევენ, ჩვენ კარგად, ზედმიწევნით შედგენილ სატარიფო რეფორმების პროგრამას წარვუდგენთ პარლამენტს“.

ორის დღის შემდეგ სატარიფო ლიგამ მართლა დანიშნა მცოდნე კაცების კომისია. ამ კომისიაში თურმე სულ პროტექციონისტები მიიწვიეს.

ახალი ამბავი

◆ 30 დეკემბრისათვის დანიშნულია კრება **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო** საზოგადოებისა სხვა-და-სხვა საქმის განსახილველად.

◆ ტფილისის **პოლიციის შესანახად** ყოველ წელიწადს იხარჯება 179,900 მან. აქედან ქალაქის თვითმმართველობა იხდის 100,000 მან. და ამას გარდა პოლიციის სადგომების დასაქირავებლად 11,315 მან., ხოლო ხაზინა—79,900 მან. ამას წინად ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ქალაქი სრულიად განთავისუფლებულ იქმნას პოლიციის შესანახ ხარჯისაგან. ვიდრე სამინისტრო ამ შუამდგომლობას განიხილავდეს, მთავარმართებლის განკარგულებით გუბერნატორმა დაავალა გამგეობას, წარუდგინოს ქალაქის საბჭოს მოხსენება, რომ 1905 წლიდან ხელ ახლავ განაწილდეს 179,900 მან. ხაზინასა და ქალაქის თვითმმართველობას შორის. ქალაქის გამგეობამ გუბერნატორის ეს მოწერილობა განიხილა 22 დეკემბერს და დაადგინა, წარუდგინოს ქალაქის საბჭოს მოხსენება იმის შესახებ, რომ ქალაქის გამგეობამ, ვიდრე პირველ შუამდგომლობის პასუხს მიიღებდეს, აღძრას მეორე შუამდგომლობა—111,315 მანეთზე ნაკლები ფული გადახდეს ქალაქს პოლიციის შესანახად.

◆ 18 დეკემბერს ტფილისის სათავად-აზნაურო **საადგილ-მამულო ბანკში** მოხდა საჯარო ვაჭრობა ტფილისის იმ მამულების გასასყიდათ, რომელთა პატრონებსაც ფული არ შეუტანიათ. გასასყიდად დანიშნული იყო 33 მამული. გაიყიდა 20. გაყიდულ 20 მამულზე ბანკის ვალი ითვლება 365,521 მან. 77 კაპ. გაიყიდა 414,623 მან. 10 მამული გაიყიდა ქართველისა, 8 სომხისა, 1 რუსისა და 1 თათრისა.

◆ 20 დეკემბერს ტფილისის სათავად-აზნაურო **საადგილ-მამულო ბანკში** მოხდა საჯარო ვაჭრობა ქალაქების (ტფილისს გარდა) იმ მამულების გასასყიდად, რომელთა პატრონთაც დროზე ფული არ შეუტანიათ. 13 მამულიდან გაიყიდა 10 მამული. გაყიდულ 10 მამულზე ბანკის ვალი ითვლებოდა 51,452 მან. 26 კაპ., გაიყიდა 62,549 მანეთად და 50 კაპ. 5 მამული ქართველისაა, 4 სომხისა, 2 რუსისა და 1 თათრისა.

◆ 21 დეკემბრისთვის დანიშნული იყო ტფილისის **ხელოსანთა დეპუტატებისა** და **უსტაბაშების** კრება 1904 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის და სხვა საქმეების განსახილველად. რადგან კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა, კრება გადაიდვა 28 დეკემბრისათვის.

◆ **სოხუმიდან გვწერენ**: აქ დაარსდა ახალი საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს ებრძოლოს ჰლექს. ამისათვის უნდა გამოიკვლიოს სოხუმი და მის გარშემო მდებარე ადგილები, თუ სად უფრო შესაფერისი იქმნება დააარსოს სანატორიუმები ხელ-მოკლე ავადმყოფთათვის.

◆ დაიბეჭდა და ურიგდება ხელის მომწერთ მე-11 №-რი ჟურნალი **„მოამბე“** შემდეგის შინაარსით: 1) ბრძოლის ველზე,—მოთხრობა ოკტავ მირბოსი თარგმანი თ. ს.; 2) მსხვერპლი.—კომედია სამ მოქმედებად, ალფ. დოდესი, თარგმანი ინ-ანისა; 3) გლეხი კაცი.—რომანი ვილჰელმ ფონ-პოლენცისა, თარგმანი ივ. პოლუმორდვინოვისა; 4) მეფე სოლომონ დიდი და როსტომ, რაჭის ერისთავი.—დრამატიული პოემა ხალხური თქმულებიდან, სევასტი მ. გიჩეჩილაძისა; 5) ღალატი.—დრამატიული ლეგენდა ხუთ-მოქმედებად საქართველოს წარსულიდან, თხზ. თავ. ა. სუმბათაშვილისა, თარგმანი კ. მესხისა; 6) ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან.—წერილი მეშვიდე, კიტა აბაშიძისა; 7) უცხოეთის მიმოხილვა.

◆ გუშინ, 22 დეკემბერს, ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას გადასდოს 514 მან. ქალაქის სასწავლებელთა ექიმებისათვის საექიმო იარაღის შესაძენად.

◆ 20 დეკემბერს რკინის გზის ტფილისის სადგურის მახლობლად შემდეგი ბოროტ-მოქმედება მოხდა: მეისრე ისაკ ალხანაშვილი რკინის გზის გამგეობიდან მიდიოდა მოხელეთათვის აშენებულ სახლების ეზოში. როცა ალხანაშვილი ეზოში შედიოდა, წამოეწია ვიღაც უმაწვილი კაცი და მძიმედ დასჭრა სამგან. ყვირილზე უცნობი გაქცეულა, მაგრამ დაუჭერიათ იგი აღმოჩენილა რკინის გზის სახელოსნოების ზეინკლის

ვე საზოგადოება ზემო და ქვემო თიანეთისა მოვალედ გახადა ინსპექტორმა მამინაიშვილმა ხე-ტყის, ქვის, კირის, ქვიშისა და კრამიტის შეძენასა და მოზიდვაში სკოლის ასაგებად კავკასიაში „ქრ. აღმ. საზ.“ საბჭომ გაიღო მხოლოდ 4000 მანეთი, მაგრამ რადგან ეს თანხა არ ეყოფოდა, ზემო ჩამოთვლილ ბეგარის გარდა ყოფილმა ინსპექტორმა ბ. მამინაიშვილმა ფულის გადებაც მოსთხოვა როგორც ზემო, ისე ქვემო თიანელებს. თითო კომლს ოთხი მანეთი არგუნა და 3200 მანეთი ჩაიბარა სკოლის შენობის დასამთავრებლად. სკოლის შენობა დამთავრდა 1900 წელს, აგვისტოს. ახალ სადგომში 12 ოთახია ორ-სართულად. ქვედა სართულში მოთავსებულია პირველი და მეორე კლასი, სახელოსნო ოთახი და სამზარეულო; ზევით სართულში სადგომებია—3 მასწავლებლისათვის უფროსისა, უმცროსისა და ხელოსნობის მასწავლებლისათვის (თითოს ორ-ორი ოთახი), ზემო სართულშივე მოქცეულია ერთი ოთახი საპანსიონოთ და ერთიც სამკითხველოსათვის, თუმცა არც ერთი და არც მეორე არ არსებობს სკოლასთან. სკოლა ახალ სადგომში გაიხსნა იმავე (1900 წლის) ენკენისთვეს. სკოლის გახსნას აუარებელი ხალხი დაესწრო ზემო და ქვემო თიანეთიდან. ამ დღიდან თიანეთის სკოლა აღიარებულ იქმნა ორ-კლასიანად, მთელ თიანეთის მაზრაში დღეს არც ერთი ორ-კლასიანი სკოლა არ მოიძებნება თიანეთის სკოლის გარდა. გასულ სამოსწავლო წელს თიანეთის ორ-კლასიან სკოლაში 59 მოწაფე (53 ვაჟი და 6 ქალი) ირიცხებოდა. უფროს მასწავლებლად დღემდის ბ-ნი გ. იმნაიშვილი იყო, (ამ ქამად კი მის ნაცვლად გაამწესეს რუსი). უმცროსს მასწავლებლად ოლ. ბაკურაძე, ტფ. საეპარქიო სასწავლებლიდან. სკოლის გამგედ და სამღვთო სჯულის მასწავლებლად ითვლება ბლ.-მღვ. ვლ. გძელიევი. ხოლო მზრუნველად თიანეთის მომრიგებელ მოსამართლედ ყოფილი ალ. სვ. გამრეკელი. სწავლების საქმე გვარიანად არის დაყენებული. გასულ სამოსწავლო წელს სკოლა პირველად დაამთავრა ხუთმა მოსწავლემ, რომელნიც სწავლის გაგრძობას არდონის (კავკავთან) სასულიერო სემინარიაში აპირებდნენ.

სვიმონიანთხევის წერა-კითხვის სკოლა ღვთის ანაბარაა დატოვებული. ღირსია მოვიხსენიოთ ის გარემოება რომ სკოლამ არც ერთი კაპეიკი არ იცის არც მთავრობისაგან, არც საზოგადოებისაგან. თითქმის არა აქვთ ამ სკოლის მოწაფეთ ბინა, არა აქვს სკოლას არც ერთი სახელმძღვანელო და სასწავლო ნივთი და მაინც განაგრძობს არსებობას და გასულ სამოსწავლო წელს 30 (10 ვაჟი 20 ქალი) კაცს წერა-კითხვა ასწავლა; ეს მით უფრო სავალალოა, რომ სვიმონიანთხევში 300 კომლამდის კაი შეძლებული მცხოვრები ირიცხება და სულიერ წყურვილის მოსაკლავი დაწესებულება ამნაირ უკიდურესს მდგომარეობაში ყოფილა.

თუშეთი მდებარეობს კავკასიონის უმთავრესს ქედის კალთაზე—აღმოსავლეთის მხრივ ხევსურეთის საზღვრად. ხევსურეთს თუშეთიდან დიდი აცუნდის (12,283 ფუტი) მთა ჰყოფს. მეორე მხრივ თუშეთს საზღვრავს ის ნაწილი კახეთისა, რომელიც თიანეთის მაზრაში ძევს. თუშეთს და ამ ნაწილს კახეთისას 182,976 დესეტინა მიწა უჭირავს. შესდგება 13 სოფლის საზოგადოებისაგან და 60 სოფლისაგან. თუშეთში და ამ კახეთის ნაწილში 2100 კომლი და 10.911 სული, ორთავე სქესისა ირიცხება.

თუშეთის სოფლები, როგორც ხევსურებისა, გაშენებულია მთის მწვერვალებსა და ფერდობებზე იმ განსხვავებით, რომ თუშეთის სოფლები სიმაგრეების მაგვარი არ არიან, როგორც ხევსურებისა, თუმც ძნელად შეხვდებით სოფელს, რომელსაც 50—80 ფუტის სიმაღლე 4—8 სართულიანი კოშკები არა ჰქონდეს. თუშების სახლები მომეტებულ ნაწილად სულ ქვისაა—ორ-სამ ოთახით, აივნებით და სარდაფებით. შიგნიდან სადგომები შედარებით ფშავ-ხევსურების სადგომებთან სუფთადა აქვთ მოწყობილი. კედლები და ტახტები თავიანთ მანდილოსნების მიერ მოქსოვილ ფარდაგებითაა დაფენილი. მთელი შინაური საქმე დედაკაცის კისერზეა, მათი მოქსოვილი ფარდაგები მეტად კარგი რამეა. მამაკაცი მუდამ ცხვარშია. თუშები მიწის სივიწროვის გამო და უტყეობისა გამო ცხვრის ყოლას და მოშენებას მისდევენ, როგორც ფშავლები. სასტატისტიკო ცნობებით მთელ თუშეთსა და ფშავეთში 600,000 სულზე მეტი ცხვარი ითვლება, რომელთაც ზაფხულობით თუშეთის, დაღესტნის, ბორჩალოს და კახეთის მთებში აძოვებენ, ზამთრობით კი შირაქის ველზე. ამიტომ თუშები მხოლოდ ზაფხულობით სცხოვრობენ სახლობებით თავიანთ მთებში, ე. ი. მთიან თუშეთში, ზამთრობით კი ალვანის (თიანეთის მაზრისავე) მინდორზე ჩამოდიან. ამ ველზე იმათ სახლები აქვთ, სადაც აყენებენ თავიანთ ცოლშვილს, თითონ კი შირაქში მიდიან. მთიან თუშეთში რჩებიან მხოლოდ მოხუცნი და ყმაწვილები. ალვანში ჩამოდიან აგრეთვე რიგ-რიგისად მღვდლები თავიანთ რიგების შესასრულებლად. მთელ თუშეთში 6 სამრევლოა. ყველგან საკრებულო სადგომები სოფლების ხარჯით არის აგებული. რაც შეეხება სკოლების რიცხვს, თუშეთიც და კახეთიც (თიანეთის მაზრისა) შედარებით ღარიბია ამ მხრივ. თუშეთში დღეს 2 სკოლა არსებობს შემდეგ ადგილებში: ზემო-ალვანსა და ქვემო-ალვანში, ხოლო თიანეთის მაზრის კახეთში 3 სკოლა: ჰანკისში, ახმეტასა და მატანში. ზემო-ალვანის სკოლა მთელ თიანეთის მაზრაში ერთად ერთი სკოლაა, რომელიც დირექციას ეკუთვნის. ეს სკოლა მართალია, დიდი ხანია, რაც დაარსდა (1864 წელს), მაგრამ ჯერ-ჯერობით სარგებლობა მაგრე რიგად არა მოუტანია-რა მცხოვრებთათვის, რადგან თავიდანვე ცუდ პირობებში იყო. სოფლელებმა ააგეს შენობა, ხოლო დირექციამ მაშინ რაღაცა მოსაზრებით არ გახსნა სკოლა, ასე რომ თუშებს რწმენა დაეკარგათ ამ სკოლისადმი და ამ ბოლო დროს მართალია სკოლა არსებობს, მაგრამ ნდობის მოპოებას დიდი ხანი ებრძოდა ზემო ალვანის სკოლა. სკოლის გამგედ ითვლება ალ. ბობლიაშვილი, მასწავლებლად ხვადაგაძე, ხოლო სამღვთო სჯულისა მღვ. იონინი. გასულ სამოსწავლო წელს ზემო-ალვანის სკოლაში სწავლობდა 106 მოსწავლე ქალი და ვაჟი (76 ვაჟი და 30 ქალი). სწავლება ერთ-კლასიან სამინისტრო სკოლის პროგრამაზე სწარმოებს.

ქვემო-ალვანის სკოლა დაარსდა 1900

თანაშემწე ვიქტორ კბილაძე. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ ამ დღეებში ავლაბარში მცხოვრებმა კონტობაირასოვმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში. სწერს, ეს რამდენიმე წელიწადია ავლაბარში ყარალოვისაგან შევიძინე ადგილი, ზომით 1088 ოთხ.-კუთ. საჟენი, რომელსაც ქალაქი მართმევს და ზედ ქუჩასაც გაჰყავს გადამღებ სენით სავადმყოფომდინაო. ბაირამოვის მიერ შეძენილ მიწის დათვალიერებით გამოირკვა, რომ ეს ადგილი ქალაქის საკუთრება უნდა იყოს. ბაირამოვს ეს ადგილი შეუძენია ყარალოვისაგან, ხოლო ყარალოვს არტემ ნერსესოვისაგან. ეს ადგილი ნაწილია იმ ადგილებისა, რომელსაც „საბაჩი დერევნია“ ეწოდება.

◆ მოგვივიდა ორი ახალი ქართული წიგნი: 1) თხზულებანი ი. ს. ფანცხავასი. 272 გვ., ფასი 1 მან. და 2) მარცვლის ჩრჩილი სიმინდზე ქუთ. გუბერნიაში და ახალი საშუალება მის მოსასპობი, აგრონომის ტიმოფეევისა.

◆ 21 დეკემბერს, პოლიციის მე-7 ნაწილში, ასხალის ქუჩაზე, ჩხუბი მოსვლიათ სიღნაღის მაზრის მცხოვრებს იოსებ ბეროშვილსა და შულავერის მცხოვრებს არშაკ ჩირკინოვს. ბეროშვილს უძგრია ბებუთი და მძიმედ მუცელში დაუჭრია ჩირკინოვი. შემდეგ ბეროშვილი გაქცეულა და სადღაც მიმალულა. ჩირკინოვი მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ შემწეობის აღმოსაჩენად.

◆ როგორც ვწერდით, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მოუკლავთ ერთი კაცი, რომლის ვინაობა ჯერ ვერ გაიგეს, და გადაუგდიათ მამადავითის გორის ხევში. როგორც გადმოგვცეს, რადგან გამორკვეული არ იყო, ეს ხევი ტფილისის მაზრას თუ ქალაქს ეკუთვნის, აქამდე მოკლულის გვამი ხევში იყო. გუშინ ტფილისის მაზრის გამომძიებელი შეეკითხა ქალაქის გამგეობას, შეგვატყობინეთ, ის ადგილი, სადაც მკვდარი კაცის გვამია, ტფილისის მაზრაშია თუ ქალაქ ტფილისის ნაწილს შეადგენსო.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, ოქრომჭედლების ქუჩაზე მცხოვრებ ანასტასია კრისკინოვისა და უსტანია მარქოროვისთვის ვიღაც ბოროტ-განმზრახველს ნივთები მოუპარავს. პოლიციამ უკვე შეიპყრო ქურდი, რომელიც აღმოჩნდა ტფილისის მოქალაქე გრიგოლ არზასოვი.

დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. დღეს, 22 დეკემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე, გაძარცვეს საურთიერთო კრედიტის საზოგადოება. წაიღეს ორმოცი ათას მანეთამდე. მსუბუქად დასჭრეს კასირი წულუკიძე. მცხოვრებნი აღელვებულნი არიან. ბოროტ-განმზრახველი რვა იყო, ყველა ბერდანის თოფით შეიარაღებული.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ეს მეოთხე დღეა ქუთაისში დაიწყო იმერეთის ეპარქიის მღვდლების კრება. სხდომები სასულიერო სასწავლებლის შენობაში ხდება. კრებას ბევრი საყურადღებო საგანი აქვს განსახილველი.

◆ წიგნების გამომცემელმა ქუთათურმა ამხანაგობამ უკვე დაამთავრა გიორგი წერეთლის თხზულებათა მესამე ტომის გამოცემა. ამ ტომში მოთავსებულია განსვენებულის რომანი „პირველი ნაბიჯი“. წიგნს თავში დართული აქვს ავტორის სურათი, რომელიც ლეიპციგშია გადაღებული. ეს მეოთხე წიგნია, რომელიც ამხანაგობამ გამოსცა ამ წლის განმავლობაში.

◆ ბაქოელ ფირმის „Стрѣла“-ს რწმუნებულს ს. პ. პავლოვს განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში. იგი წინადადებას აძლევს ქალაქს ქუჩების გასანათებლად შეიძინოს იმის ფირმის ფარნები „სტრელა“ პეფფელის სისტემისა. თითოს 80 სანთლის სინათლე ექმნებაო, სწერს განცხადების ავტორი. ფარნებს ბოლი არ ასდის და არც სუნი აქვს. ანთების შემდეგ არავითარი მოვლა არ უნდა, სინათლე არც იკლებს, არც იმატებს. ერთი გირვანქა ნავთი ჰყოფნის ლამპას 6 საათის განმავლობაში. ცალ-ცალკე იყიდება 7 მან. 50 კაპეიკადაო.

◆ კავკასიის საექიმო საზოგადოების გამგეობას გამოუგზავნია ქალაქის გამგეობისათვის ხსენებულ საზოგადოების მოქმედების ანგარიში, საიდანაცა სჩანს, რომ სახალხო საექიმო წიგნაკების გავრცელების საქმე თანდა-თან წინ მიდის. გამგეობა სთხოვს ქალაქის საბჭოს, ერთდროული შემწეობა აღმოუჩინოს ფულით და შემდეგ-კი ყოველ წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოს საზოგადოების დასახმარებლად, რამდენიც შესაძლებელი იქმნება, ფულის რაოდენობა.

◆ ქუთაისის გუბერნატორი ძველის სადგომიდან, რომელიც თავ. ნ. კ. ნიჟარაძემ შეიძინა, გადავიდა ახალ სადგომზე პრინცის კ. პ. ოლდენბურგელის სახლში.

ქუთაისში 18-დან 20 დეკემბრამდის ყველა სასწავლებლის მოწაფენი დაითხოვეს გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლის მოწაფეებს გარდა.

შინ და გარედ

49.

პეტერბურგის საქალაქო არჩევნებმა მთელის რუსეთის ყურადღება მიიქციეს. ყველას აინტერესებდა, რა ცვლილებას მოახდენს ახალი საქალაქო დებულებაო.

როგორც იცით, ამ დებულების ძალით არჩევნებში, სახლის პატრონთა და ვაჭართა გარდა, პირველად იღებდნენ მონაწილეობას სადგომის დამქირავებელნიც. საარჩევნო უფლება გაფართოვდა და სწორედ ამით აიხსნება საერთო ინტერესიც.

რა დიდი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო უფლების გაფართოვებას, პეტერბურგის არჩევნებმაც-კი დაამტკიცეს: მიუხედავად იმისა, რომ ეს გაფართოვება მეტად მცირეა, ცვლილება ამომრჩეველთაც და არჩეულთაც შეეხო. პეტერბურგის ახალ საქალაქო დებულებამ საარჩევნო უფლება მიანიჭა ბინის დამქირავებელთაც; მაგრამ ცენზი ისე დიდია დაწესებული, რომ მხოლოდ მდიდრებს მიეცათ საშუალება ესარგებლათ საარჩევნო უფლებით. ამ მდიდრებში მოხვდნენ პეტერბურგის ინტელიგენციის მთავარი წარმომადგენლებიც და ამ გარემოებამ შესამჩნევად შესცვალა წინანდელი სურათი. თუ წინად ქალაქის სვე-ბედი **გაუნათლებელ მდიდრების** ხელში იყო, დღეიდან ქალაქზე ზრუნვა **განათლებულ მდიდრებს** ევალებათ. რასაკვირველია, ეს ერთი და იგივე არ არის: განათლებული მდიდრები უფრო გულმტკივნეულად, მეტის ცოდნითა და მოხერხებით მოუვლიან ქალაქს და ამასთანავე უფრო მიიღებენ მხედველობაში ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესებს, ვიდრე გაუნათლებელი ვაჭრები და სახლის პატრონები.

ამ მხრით ახლად დასრულებულს არჩევნებს სანუგეშო შემდეგი მოჰყვა. ბრძოლა გაიმართა ორ ბანაკს შუა: სახლის პატრონები და ვაჭრები (წინანდელი ამომრჩეველნი) უმთავრესად ერთ მხარეზე იდგნენ, ხოლო ბინის დამქირავებელნი (ახალი ამომრჩეველნი)—მეორეზე; პირველთ ეწოდა „ძველ საბჭოს პარტია“ (стародумская), მეორეს ოპოზიციის პარტია. ძველების მხრით უპირატესობა მეტი იყო: ამომრჩეველთა რიცხვიც მათი მეტია, არჩევნების საქმეშიაც გამოცდილება და სხვა. მიუხედავად ამისა მათ სრული გამარჯვება ვერ მოიპოვეს და პეტერბურგის მომავალ საბჭოში ბევრი ბინის დამქირავებელიც იქნება ხმოსნად. მათ რიცხვში მოჰყვა ბევრი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი ლიტერატორები, ექიმები, ადვოკატები და სხვა წარმომადგენლები ინტელიგენციისა, რომელთაც წინანდელის დებულებით ქალაქს ახლო არ აკარებდნენ.

ასეთი კეთილი შედეგი მოჰყვა საარჩევნო უფლების მცირედ გაფართოვებასაც! ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ქალაქის თვითმმართველობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და განკარგების საქმეში. რამდენად უფრო გაფართოვდება საარჩენო უფლება, რამდენად უფრო შემცირდება საარჩევნო ცენზი, რამდენად უფრო მეტ რიცხვს ექნება უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, მით უფრო მოგებაში იქნება ქალაქის უმრავლესობა და მით უფრო წინ წავა ქალაქის კეთილდღეობა. ამის უტყუარს საბუთს გვაძლევს დასავლეთ ევროპის ქალაქის მაგილი. იქაც, სანამ მუნიციპალიტეტის ბედი მდიდარ კაპიტალისტების ხელში იყო, ქალაქში არაფერი კეთდებოდა უმრავლესობისათვის. არც სანიტარული მხარე, არც ხალხის განათლების საქმე, არც გარეგანი მოწყობა არ უმჯობესდებოდა. სურათი შეიცვალა მხოლოდ მაშინ, როცა სარჩევნო უფლება უმრავლესობას მიენიჭა. მაშინ ქალაქის ბიუჯეტიც გადიდდა და ამ ბიუჯეტის მოხმარებაც გაუმჯობესდა. ქალაქები სწრაფად წავიდნენ წინ როგორც გარეგან მოწყობის მხრით, ისე სწავლა-განათლების, საექიმო დახმარების, ღარიბთა შემწეობის საქმეთა მხრითაც. ერთის სიტყვით, მუნიციპალიტეტის მოღვაწეობა სრულიად შეიცვალა როგორც რაოდენობით, ისე ღირსებით: ბევრი კეთდება და რაც კეთდება მცხოვრებთა უმრავლესობისათვის არის სასარგებლო და არა მარტო ქალაქის მდიდარ ელემენტებისათვის.

ამ მაგალითმა კარგი გაკვეთილი მისცა რუსეთს. ყველა დარწმუნდა, რომ ქალაქის საქმეთა გასაუმჯობესებლად საჭიროა თვითმმართველობის გაფართოვება და პირველი ნაბიჯი კიდეც იქმნა გადადგმული. ცხოვრება, რასაკვირველია, ამით ვერ დაკმაყოფილდება და მალე საჭირო შეიქნება ამ საქმეში უფრო თამამის ნაბიჯის გადადგმა, ესე იგი, საარჩევნო ცენზის კიდევ უფრო მეტი შემცირება და ახალი დებულების გავრცელება რუსეთის ყველა ქალაქებზე.

გარდა საარჩევნო უფლების სიმცირისა და კონტროლის სიდიდისა რუსეთის ქალაქის თვითმმართველობის საქმეს აფერხებს კიდევ საქალაქო ბიუჯეტის ურიგო განაწილება; მაგრამ ამაზე ხვალ.

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ გაზეთ „ს. ზაპ. სლ.“-ში დაბეჭდილია: „გუბერნატორის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილების თანახმად, რომელიც შეეხება სახელმწიფო წესიერებისა და მშვიდობიანობის დაცვას, დვინსკის პოლიცმეისტერმა გამოსცა განკარგულება. ამ განკარგულების ძალით პოლიცია ვალდებულია, სასტიკად ადევნოს თვალ-ყური იარაღითა და თოფის წამლით ვაჭრობას“.

◆ კამენეც-პოდოლსკის „გუბერ. ვედომ“-ში დაბეჭდილია: „პოდოლსკის გუბერნატორი მადლობას უცხადებს ოლგოპოლსკის მაზრის ურიადნიკს ლისეცკის იმ სამაგალითო მამაცობისა და გამჭრიახობისათვის, რაიც მან გამოიჩინა 21 ნოემბერს, ღამე, ს. გორიაჩკოვში მომხდარ გლეხების არეულობის დროს“.

◆ ნიკოლსკ-უსურისკის სატუსაღოდან 21 ნოემბერს, ღამე, გაპარულა 14 რუსი და 17 ჩინელი ტუსაღი, რომელნიც სატუ-

---

წელს კავკასიაში ქრ. ალ. საზოგადოებამ, თუმცა იმის დაარსებაზე თუშები დიდ უარზე იდგნენ და ამბობდნენ, ვაი თუ ზემო-ალვანის სკოლის დღე ამასაც ეწვიოს და შრომა ტყუილად გავსწიოთ შენობის აშენებაზეო. დიდი მითქმა-მოთქმის შემდეგ ქვემო ალვანელებმა გადასწყვიტეს შეკეთება ერთ-ერთ ძველ შენობისა—სოფ ჩასმაში—სკოლის სადგომად. შენობა ხისაა და სამი ოთახისაგან შესდგება: 1—საკლასო და 2 სამასწავლებლო. ეს შენობა უვარგისია და არც პედაგოგიურ ჰიგიენურ მოთხოვნილებას შეეფერება, მეტადრე ამისთანა მკაცრ ჰავიან ადგილას, როგორიც ალვანია.

ამიტომაც ხშირად ცივდებიან და ხდებიან ავად პატარა თუშის ბიჭები მიუხედავად ჯანმრთელ და მაგარ აგებულობისა. სკოლის გამგედ და ყველა საგნების მასწავლებლად ითვლება ან. თოიძე, გორის საოსტატო სემინარიიდან, ხოლო სკოლის მზრუნველად—ნიკოლოოზ მურთაზაშვილი. სულ სამოსწავლო წელს სწავლობდა 47 მოწაფე (39 ვაჟი და 8 ქალი). სწავლება ერთ-კლასიან სამრევლო სკოლის პროგრამაზე სწარმოებს. სკოლას არა აქვს არც ერთი საკითხავი წიგნი, არც საყმაწვილო და არც სახალხო.

პანკისის სკოლა იმყოფება სოფ. ჯოყოლოში, რომელიც ალაზნის პირას—პანკისის ხეობაში (კახეთში) მდებარეობს, და ამიტომ სკოლაც ამ ხეობის სახელს ატარებს პანკისის ხეობა თერგის ოლქიდან გადმოსულ ქისტებით არის დასახლებული. ქისტები პანკისის ხეობისა ორ ნაწილად განიყოფებიან, ერთ ნაწილს (105 კომლი, და 771 სული) ეკუთვნიან მართლ-მადიდებელი ქისტები, რომელიც ნამდვილ ქართველებად აღიარებენ თავიანთ თავს და მართლაც ლაპარაკით და ზნე-ჩვეულებით სრულიად ვერ გაარჩევთ ქართველებისგან. მეორე ნაწილს (200 კომლი) ეკუთვნიან მაჰმადიანნი. ქართველ ქისტებს აქვთ სკოლა და ეკკლესია, სადაც სწავლება და ღვთის მსახურება ქართულად სწარმოებს. მაჰმადიან ქისტებს კი ჰყავთ თავიანთი მოლები და მეჩეთი. მთავრობა დიდხანს ნებას არ აძლევდა მეჩეთის აგებისას იმ მოსაზრებით, რომ მართლ-მადიდებელი ნაწილი ქისტებისა არ გადაიბარონ წინანდელ რჯულზეო. ამიტომ სასულიერო მთავრობა პანკისის ხეობაში მეორე სამრევლოსა ხსნის, ასე რომ მართლ-მადიდებელ ქისტებს ორი ეკკლესია ექნებათ და ერთი აწ არსებული სკოლა. პანკისის სკოლა დაარსდა სოფელ ჯოყოლოში 1892 წელს. 1900 წლამდის ეს სკოლა მოთავსებული იყო ძველ დახავსებულ ხის შენობაში, რომელშიაც წვიმა და ქარი თავისუფლად დათარეშობდა, ასე რომ იგი სრულიად უვარგისი იყო სწავლა-აღზრდის მხრივ. 1900 წლიდან კი სკოლა მოთავსებულია სრულიად ახალს ქვის შენობაში, რომელიც 1900 მანეთი დაჯდა. ამ თანხიდან 300 მანეთი ქართველმა ქრისტობამ გაიღო. სკოლის შენობა 4 ოთახისაგან შესდგება: 1—საკლასო, 1—საპანსიონო და 2—სამასწავლებლო. სკოლას არც ეზო და არც თავისუფალი ნაჭერი მიწისა არა აქვს. სკოლის გამგედ და სამღვთო სჯულის მასწავლებლად ითვლება მღვდელი მ. ალბუთაშვილი ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა-დამთავრებული. როგორც ბუნებით ქისტი, ალბუთაშვილი დიდი ნდობით სარგებლობს ქართველ-ქისტებისაგან და მათ საკეთილდღეოდ დიდი შრომაც მიუძღვის. მასწავლებლად დანარჩენ საგნებისა ირიცხება ესტ. ზედგინიძე, გორის საოსტატო სემინარიაში სწავლა-დამთავრებული. სკოლის მზრუნველად—სოფ. ომალოს მცხოვრები ჩაგი თურნაშვილი. პანკისის სკოლაში გასულ სამოსწავლო წელს 42 მოწაფე (40 ვაჟი და 2 ქალი 16 ქართველი და 26 ქისტი; 36 მართლ-მადიდებელი და 9 მაჰმადიანი) ითვლებოდა. სწავლება ერთი-კლასიან სამრევლო სკოლის პროგრამით სრულდება. შესანიშნავ მოვლენას ამ სკოლის ცხოვრებაში შეადგენს ის გარემოება, რომ ქართული ენა, და ამ ენისავე საშუალებით სხვა საგნების სწავლება, გასულ სამოსწავლო წლიდან მოისპო და სწავლა რუსულად სწარმოებს. სკოლასთან არსებულ წიგნთ-საცავში 1000 წიგნი მოიძებნება, თითქმის სულ სასულიერო შინაარსისა.

ახმეტის სკოლა დაარსდა 1901 წელს. სკოლა მოთავსებულია საკუთარ შენობაში. თვით სკოლა უხერხულ ალაგასაა აგებული, დაშორებულია როგორც სოფლის ზევით უბანს „უტოთ“ წოდებულს, ისე სოფლის ქვეით უბანს, „ჟალურად“ წოდებულს. ასე რომ საჭიროება მოითხოვს მეორე სკოლის გახსნას, მით უმეტეს, რომ გარდა ამ უხერხულობისა მცხოვრებთა რიცხვი (300 კომლი) თხოულობს პირდაპირ ამას. სკოლის გამგედ მღვდელი გ. ინაშვილი ითვლება. მასწავლებლად ალ. ციცაგი (ოსი), გორის საოსტატო სემინარიიდან. გასულ სამოსწავლო წელს სულ 25 მოწაფე (12 ვაჟი და 13 ქალი) სწავლობდა. სწავლება ერთ-კლასიან სამრევლო სკოლის პროგრამაზე სწარმოებს. სკოლის წიგნთსაცავში 200 წიგნი მოიპოვება წმინდათა ცხოვრება. მცხოვრებნი გულგრილად ეპყრობიან ამ სკოლას.

მატანის სკოლა მოთავსებულია მეტად ძველ, პატარა, ცივ და ბნელ ხის შენობაში, რიგიანი სკოლის სადგომის აშენებას შესძლებდნენ მატანელები, მასწავლებლის ჯამაგირს (წელიწადში 300 მანეთს), რომ არ იხდიდნენ ყოველ წლივ. ასე რომ ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭომ ან მასწავლებლის ხარჯიდან უნდა გაანთავისუფლოს რომ სადგომი ააშენებინოს, ან თავის ხარჯით ააშენოს. ორსავე ხარჯის გაძლებას მატანელები ვერ შესძლებენ, თუმცა 300 კომლამდე მცხოვრები ითვლება ამ სოფელში და სწავლის ხალისიცა აქვთ. ამ სკოლის გამგედ მღვდელი დ. გოგოლაძეა. მასწავლებლად დ. ძეძამიძე. გასულ სამოსწავლო წელს 48 მოწაფე (15 ვაჟი და 33 ქალი) მათ შორის 12 სომეხი სწავლობდა. სწავლება ერთ-კლასიან სამრევლო სკოლის პროგრამაზე სწარმოებს. სკოლის წიგნთსაცავში 293 წიგნია სარწმუნოებრივი-ზნეობრივ შინაარსისა.

ამ 11 სკოლიდან 7 სკოლას—ახიელის, ბარისახოს, მაღაროსკარის, თიანეთის, ამტნისხევის, ქვემო-ალვანის და პანკისისას გასულ სამოსწავლო წლამდინ კავკასიაში ქრ. ალ. საზოგადოების საბჭო თავისს ინსპექტორების წყალობით უშვრებოდა კონტროლს, შარშანდლიდან კი ყველა ეს სკოლები დაექვემდებარა ქართლ-კახეთის საეპარქიო სამრევლო სკოლების საბჭოს, ასე რომ ამ ჟამად ყველა სკოლა თიანეთის მაზრისა (გარდა ზემო-ალვანის სამინისტროსი) სამრევლო ტიპისაა და კონტროლადაც ამ სკოლებისა ითვლება მაზრის მეთვალყურე მღვდელი—მ. ვლ. გძელიშვილი.

დ. პავლიაშვილი

სალის ზედა სართულის კამერაში ყოფილან. ტუსაღებს გაუჭრიათ იატაკი, ჩასულან ქვედა სართულში, იქიდან გაუთხრიათ გვირაბი სიგრძით 30 საჟენი და შეუმჩნევლად გასულან ეზოს გარედ. სატუსაღოს ადმინისტრაციას მხოლოდ მეორე დღეს დილით შეუნიშნავს ეს ამბავი. გაქცეულ ტუსაღების დასაჭერად მიღებულია ზომები, ქალაქი ჯარით არის ალყა შემორტყმული. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი შეიპყრეს.

◆ „ობლასტ. ვედ.“-ში დაბეჭდილია ყაზახთა ატამანის შემდეგი ბრძანება: „ნოვოჩერკასკის პოლიცმეისტერმა ზოლოტარევმა 29 ნოემბერს გამოცემულ განკარგულებაში, რომელიც შეეხებოდა ქუჩებში წესიერების დაცვას, ცუდად მოიხსენა ადგილობრივი სასწავლებლები. ამისთვის ვუცხადებ ზოლოტარევს საყვედურს და ვაფრთხილებ, რომ მომავალში პოლიციის მიმართ განკარგულების შედგენის დროს ფრთხილად მოიქცეს“.

◆ „იუჟნი კრაი“ გადმოგვცემს ერთს საგულისხმო ამბავს: 12 დეკემბერს დანიშნული ყოფილა ადგილობრივ ვაჭრის ნ. ლიბერმანის დასაფლავება. მაგრამ პოლიციის განკარგულებით დასაფლავება გადაუდვიათ და მიცვალებულის გვამი გაუჭრიათ. ასეთი განკარგულება გამოუწვევია შემდეგ გარემოებას: განსვენებული ლიბერმანი რაღაც ავადმყოფობისა გამო 20 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე წოლილა საგუბერნიო საერობო სამკურნალოში, სადაც თვიურად 150 მანეთს ახდევინებდნენ. მიცვალებულის სამკურნალოდან წაღების შემდეგ სამკურნალოს ადმინისტრაციას უცნობებია პოლიციისათვის, რომ მიცვალებულ ლიბერმანს ცხრა გვერდის ძვალი ჩამტვრეული ჰქონდაო. გაჭრის დროს კი აღმოჩენილა, რომ განსვენებულისათვის ცხრა-კი არა, 13 გვერდის ძვალი ჩაემტვრიათ სამკურნალოში.

◆ მომავალის წლის პირველ იანვრიდან შემოღებულ იქმნება ახალი სატამოჟნო წესები უცხოეთიდან შემოსატან საქონლისათვის.

◆ გაზეთ „რუს“-ს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ ხმები დასავლეთ გუბერნიებში ახალ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, უბრალო ლაყბობააო. ახლო მომავალში დასავლეთ გუბერნიებისათვის უნივერსიტეტის დაარსებას არა ჰფიქრობენო.

◆ „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ კიევიდან: ფინანსთა მინისტრის განკარგულებით კიევის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტი დახურულია მხოლოდ სამოსწავლო წლის მეორე ნახევრის დაწყებამდე.

◆ ვილნაში ინტელიგენტთა ერთს პატარა წრეს გადაუწყვეტია, დააარსოს საზოგადოება, რომელსაც აზრად ექმნება დახმარება და დაცვა მუშა ქალებისა.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. კვირას, 21 დეკემბერს, ქართულ თეატრში გაიმეორეს იბსენის კომედია „ხალხის მტერი ანუ ექიმი შტოკმანი“. დამსწრეთ ძალიან მოეწონათ პიესა. ყველა მოქმედების შემდეგ ურიცხვჯერ იწვევდნენ და ტაშის ცემით აჯილდოვებდნენ მთავარ როლის ამსრულებელს კონ. მესხს. პიესამ რიგიანად ჩაიარა, უკეთესად, ვიდრე პირველად. მხოლოდ ზოგიერთებმა, როგორც ყოველთვის, როლები არ იცოდნენ ბეჯითად.

—

გუშინ-წინ, 21 დეკემბერს, „საარტისტო საზოგადოების“ თეატრში ბ-ნ კრასოვის დრამატიულმა დასმა ხელმეორედ ითამაშა თავ. სუმბათაშვილის ახალი პიესა „ღალატი“. მიუხედავად ქარ-ხუსხისა, თეატრი თავით-ბოლომდე გაჭედილი იყო. ზოგნი უკანაც გაბრუნდნენ, რადგან ბილეთი აღარ იშოვებოდა. ამ მეორე წარმოდგენამაც სუსტად ჩაიარა, თუმცა პირველს მაინც სჯობდა.

სასამართლო

I

ტფილისის სამოსამართლო პალატამ 20 დეკემბერს განიხილა საქმე ტფილისის პოლიციის აგენტად ნამყოფის გრიგოლ ჩიქოვანისა, რომელსაც ქურდობა ჰბრალდებოდა. ჩიქოვანი ქურდობის ჩადენისთვის დამნაშავედ უცვნია ტფილისის ოლქის სასამართლოს და გადაუწყვეტია ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და საპყრობილეში 4 თვით დაპატიმრება. ტფილისის სამოსამართლო პალატამ უცვლელად დამტკიცა ამ საქმის შესახებ ოლქის სასამართლოს განაჩენი. ჩიქოვანი ამ ჟამად დაპატიმრებულია მეტეხის საპყრობილეში. ერთმა ბრალდებულმა, რომელსაც ვლასოვის გაძარცვა ჰბრალდება ამას წინად სასამართლოში თავი დამნაშავედ აღიარა და განაცხადა, ამ საქმეში ჩვენი მეთაური პოლიციის აგენტი გრიგოლ ჩიქოვანი იყოო. ჩიქოვანი დააპატიმრეს და ხელ-ახალ გამოძიებას შეუდგნენ.

II

დღეს, 23 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ანტონ და დიმიტრი ლოტარიევისა, კვარაცხელიასა და ხურცილავასი, რომელთაც კირიას გასათხოვარ ქალის მოტაცება ჰბრალდებათ. კირიას ქალის ცოლად შერთვა ჰსურდა ანტონ ლოტარიას.

დაბა-სოფლები

ს. სვირი (იმერეთი). ამ ჟამად ჩვენსკენ კარგი ამინდებია. თოვლი თითქმის თვალით არ გვინახავს. რაც შემოდგომაზე გვატირა, მაგიერათ ეხლა გვაცინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კარგ ამინდებს მოჰყვა სახადი, ყელის ტკივილი და ყიფანა-ხველა. ემ სენმა ბევრი იმსხვერპლა და ბევრი ეხლაც ავად არის, ბევრი მშობელი აატირა, არ გაუვიდათ ვედრება-ხვეწნა და შეპირება და მაინც თავისი აასრულა. ჯერ ხომ ჩვენში ექიმი ძვირად იშოვება, ან უნდა მოიყვანო ფერშალი ზესტაფონიდან და ან ბაღდადიდან. ორივე შორსაა აქედან. ისიც იაფ-ფასიანი ფერშალი უნდა მოსძებნო, თორემ კარგ და გამოცდილ ფერშალს, ან ექიმს ხომ ვერ მიჰმართავთ. თუ მიჰმართავთ, ოც მანეთს ითხოვს და ბევრის მუდარით და ხვეწნით შეიძლება თხუთმეტ მანეთად წამოგყვეთ. ერთის ნახვით ავადმყოფი არ მორჩება, ამიტომ ორჯერ მაინც უნდა ნახოს ექიმმა, ყველა ეს კი ხარჯს იწვევს... სახადიან ავადმყოფთათვის ბევრი ექიმსაც არ ეძებს და არც აფთიაქის წამალს დაალევინებს: ეშინიანთ ბატონების გაჯავრებისა. ერთად ერთი საშუალება დარჩენიათ შეხვეწნა, შეპირება, თავზე სპილენძის ქვაბის შემოვლება და სხვა. თუ ახალგაზრდა ბავშვია, წითელ ტანთ საცმელ უყიდიან, ბატონებს გაუხარდებაო, იმ ოჯახიდან ფულს ვერ გასცემენ და თუ რამე გაქვს მიბარებული, ტყუილად ნუ სთხოვ.

ამას წინად ჩვენსკენ აქციზებმა დაათვალიერეს და კიდევაც ასწერეს, ვის რამდენი ნამყენი ვენახი ჰქონდა გაკეთებული. ხმა გავრცელდა, ვითომ ნამყენ ვენახს ბაჟი ედება ძირზე თითო შაური და დღეიდან ბევრს, ვისაც-კი უნდოდა გაკეთება, აღარ ეძებენ და თუ კიდევ რამე გალერღილდა, თქვენი მტერია, რომ ვენახს გადასთხრიან და გადასჩეხენ.

იუსტინე

—

ს. დრანდა (აფხაზეთი). ვფიქრობთ, არც ერთს ჩვენს მხარეში ისე არ არის გავრცელებული ქურდობა და ძარცვა-გლეჯვა, როგორც სოხუმის ოლქში. დღემდის მხოლოდ აღვირ-წახსნილი ქურდები დათარეშობდნენ ურცხვად, ხანდახან დღისითაც მიჰქონდათ ცხენი და სხვა პირუტყვი. ახლა უარესი თავზარი დასცეს ხალხს. ამას წინად დღის ათ საათზე, გზაში დაჰხვდნენ სოხუმის ოლქის ექიმს ბარსკის და წაართვეს ფული და ოქროს საათი; გაიარა ცოტა ხანმა და ისევ დღისით სოფ. კოდორში, იქ, სადაც საერო დარაჯთა ბინაა, დაჰხვდა ერთი კაცი ვილაკ მედავითნეს, ამოაცალა ოთხი მანეთი. ამ დროს შეესწრო სოხუმიდან ეტლით მომავალი ხე-ტყის მწარმოებელი ფოლკვერი. ავაზაკმა ფოლკვერსაც მოსთხოვა ფული, მაგრამ ამ უკანასკნელს მეეტლე დაეხმარა და ავაზაკი გაიქცა. ამ დღეებში კიდევ აქეთ სმიტსკოის აგარაკში ერთ ფერშალ-ქალს დაეცა სახლში ათამდე შეიარაღებული კაცი. ფული და ნივთები წაუღიათ. აქაური პოლიცია დაეძებს ქურდებს და მძარცველებს, მაგრამ ჯერ ვერ უპოვნია. სჩხრეკავენ სახლებს და ხალხს იარაღს ართმევენ. რა ჰქნას უიარაღო გლეხმა, როდესაც ჰხედავს, რომ ქურდს იმისი ცხენი და ძროხა მიჰყავს,—გულხელ დაკრეფილი უნდა უყუროს თავის უბედურებას!

აფსუა

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 დეკემბერი

კიევი. გუშინ დაიხურა ნაოსანთა კრება. შემდეგი კრება დანიშნულია კიევში 1904 წლის 7 დეკემბრისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ინჟინერ ტერპუგოვის მიერ წარდგენილმა მოხსენებამ ტივებსა და გემებზე მომუშავეთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

კუოპიო. გენერალ-ადიუტანტის ბობრიკოვის თანადასწრებით ფინლიანდიის არქიეპისკოპოსმა ნიკოლოზმა აკურთხა აქ პირველად აშენებული მართლ-მადიდებელთა ეკკლესია.

ვლადივოსტოკი. სპარსეთის კონსულის დავიდ-ხანის თაოსნობით დაარსებული რუსულ-სპარსული სასწავლებელი, „ნავრუზ“ გაიხსნა.

კიშინევი. საგუბერნიო საერობო კრებამ გაუშვა საგუბერნიო გამგეობის ყველა წევრი გარდა ერთისა, რომელმაც წინ-და-წინვე კენჭის ყრაზე უარი განაცხადა; არჩეულია მხოლოდ ერთი წევრი; დანარჩენ წევრთა არჩევა გადადებულია შემდეგ კრების მოწვევამდე.

გლაზგო. 12 საზღვაო ინგლისელმა ინჟინერმა, რომელნიც კლეიდის ვერფებზე მუშაობდნენ, იაპონიის მთავრობისაგან დეპეშით მიიღეს წინადადება დაუყოვნებლივ კანადით იაპონიას წამოდითო.

ვაშინგტონი. რუზველტმა მიიღო ხელმწიფე-იმპერატორისაგან დეპეშა, რომელშიაც იმპერატორი სალამს უძღვნის და ახალ წელს ულოცავს.

შანხაი. აქ მდგომი ჩინეთის კრეისერები ათავებენ შეიარაღებას და სურსათის მომზადებას და მოელიან ბრძანებას აქედან გამგზავრების შესახებ.

ბელგრადი. დილით ისევ იძრა მიწა.

ვაშინგტონი. გერმანიის იმპერატორმა რუზველტს დეპეშით ჩიკაგოში მომხდარ უბედურების გამო გულწრფელი სამძიმარი გამოუცხადა.—ხმა დადის, სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის თანამდებობის აღმასრულებელმა საზღვარგარეთიდან შეერთებულ შტატების წარმომადგენლისაგან არა ოფიციალური ცნობა მიიღო, ვითომ ევროპის სატახტო ქალაქებში მთავრობის წრეები იმ აზრისა იყვნენ, რომ შეიძლება რუსეთსა და იაპონიას ომი აღარ მოუხდეთო.

ნიუ-იორკი. სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, ცხრა სახელმწიფოსაგან, იმათ შორის იაპონიისაგანაც, პასუხი მივიღეთ, რომ შესაძლებელია რუსეთმა და იაპონიამ შორეულ-აღმოსავლეთის საქმე მეგობრულად გაათავონო.

პეკინი. საქმეში კარგად ჩახედულ დიპლომატებისაგან ცნობა მოვიდა, ომი აუცილებლად მოხდებაო. შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ სამხედრო მოქმედება რამდენისამე დღის შემდეგ დაიწყოს.

რომი. ვენეციის საზღვაო მოხელეებს ბრძანება მიუვიდათ: მეორე გემიც დაამზადეთ შორეულ-აღმოსავლეთს წასასვლელადაო.

სოფია. (ოპოზიციის წრეებისაგან). საერო კრება რამდენსამე კანონ-პროექტსა და საგანგებო კრედიტს იხილავს, სხვათა შორის, ჯარის რეორგანიზაციის პროექტსაც იხილავს.—მთავრმა დაათვალიერა სამხედრო კლუბი, სადაც გამოფენილია რუსეთის საჩუქრები, პლევნის მუზეუმისათვის გამოგზავნილი.—20 დეკემბერს იდღესასწაულეს სოფიის განთავისუფლების წლის თავი.

ადრიანოპოლი. ადრიანოპოლის ვილაეტის მეციხოვნე ჯარს მცირე აზიიდან მოყვანილი რაზმები მოუმატეს. ჯარის რაზმები ბოლგარიის საზღვარს მიუახლოვდნენ, რადგან ეშინიანთ, მაკედონიასა და ადრიანოპოლის ვილაეტში ახალი აჯანყება არ მოხდესო.

პეკინი. ჩინეთის მთავრობამ გადასწყვიტა, ნეიტრალიტეტი დაიცვას, თუმცა ჰფიქრობს, რომ შეიძლება თვითონაც ჩაითრიონო.—იუანშიკაიმ ითხოვა, ყველა მეორე ხარისხოვან მოვალეობისაგან გამანთავისუფლეთ, რომ განსაკუთრებით ჯარის რეორგანიზაციას შევუდგეო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.)-

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევს 3 ს. 10 წ.)4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება

საბერძნეთის ძველი ისტორია,

პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათით და ორის რუქით. ფასი ერთი მან.

სხვა-და-სხვა ჯგვარის

საუკეთესო

ო-დე-კოლონი

№ 4711

რეინის თაიგულები

უმჯობესი, ხანგრძლივი და იაფი დუხები ცხვირსახოცებისთვის

უოველგვარ უვავილის სუნნელებისა.

(მც. 10—5)

ვყიდი

ხელმისაწდომ ფასში კარგად გამართულს

მეწვრიმალის დუქანს

ადრესი: ვოგზალის ქუჩა, სასტუმრო „სვეტ“-ის ქვემოდ სადალაქოში.

(1—432—1) **ნადირაშვილი.**

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცნობებს საქონლის მრეწველთა და საქონლის პატრონთ, რომ ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების ნება-რთვის ძალით, 1904 წლის 1 იანვრიდან ტფილისის ქალაქის საყასბოსთან შემოღებული იქმნება იმ საქონლის დაზღვევა, რომელიც საყასბოში უვარგისი გამოდგება. დასაზღვევი გადასახადი: 12 კაპ. მსხვილ-ფეხა საქონელზე, 1 კ.—ცხვარზე, 2 კ.—ხბოზე და 41 კაპ.—ღორზე. დაწუნებულ ხორცის პატრონს პრემიად მიეცემა მთელ დაწუნებულ ხორცის ღირებულების (იმ დროს არსებულ ნიხრით) სამიმეოთხედი. თუ ტყავი პატრონს დაუბრუნდება, მაშინ მიეცემა 80% ნიხრით ღირებულობისა.

„დებულება დაწუნებულ საქონლის პატრონთა დაჯილდოვების შესახებ“, რომელიც მოწონებულია საბჭოს მიერ და დამტკიცებული ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ, შეუძლიან მსურველს მიიღოს უსასყიდლოდ ქალაქის გამგეობაში. (ნ. 3—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

Дозв. ценз. Тифлисъ 22 декабря 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Издат. Т—ва